№12 / 2009წ /

ყოველთვიური ჩანართი

ერთი ნაბიჯი წინ, ანუ რას მოგვიტანს საბიუჯეტო კვლევების სისტემის დანერგვა მუნიცი პალიტეტებში

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა ,,ინტელექტი“ აჭარის ხუთ მუნიციპალიტეტში (ქობულეთი, ხელვაჩაური, ქედა, შუახევი, ხულო) შემავალი თემების რწმუნებულებისათვის ,,თემებში საბიუჯეტო კვლევების ჩატარების მეთოდოლოგიებზე“ ტრენინგები ჩაატარა.

პროექტის დაწყებამდე ინტელექტმა კვლევები ჩაატარა (რომელიც პროექტის „თემთა მობილიზაციის ინიციატივის“ შემუშავებას დაედო საფუძვლად) რომელმაც აჩვენა, რომ ადგილებზე, ბიუჯეტის დაგეგმვის დროს, არ ხდებოდა სამოქალაქო სექტორში არსებული პრობლემების შესწავლა, რომ აღარაფერი ვთქვათ მოსახლეობის საერთო კრებების ჩატარებასა და საჯარო განხილვების გამართვაზე. არადა ადგილობრივ თვითმმართველობებს ამას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ, მე-20 მუხლის I პუნქტი ავალდებულებს, სადაც ნათქვამია, რომ

> **„საბიუჯეტო წლის პრიორიტეტების დასადგენად და მიზნობრივი პროგრამების შერჩევის მიზნით ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო მთავრობასთან შეთანხმებით ყოველი ახალი საბიუჯეტო წლისათვის იწყებს კვლევებს სახელმწიფო და სამოქალაქო სექტორში არსებული პრობლემებისა და სოციალური დაკვეთის შესწავლისათვის“.**

მომდევნო წლის ბიუჯეტისათვის მზადება იწყება ათი თვით ადრე (მიმდინარე წლის პირველი მარტიდან). სწორედ ამ დროიდან უნდა დაიწყოს თემებში პრობლემების შერჩევა და პრიორიტეტიზაცია.

2008 წლის დასაწყისიდან პროექტის „თემთა მობილიზაციის ინიციატივა“ ფარგლებში კავშირმა აჭარის ხუთი მუნიციპალიტეტის 63 თემში უკვე ჩაატარა საბიუჯეტო კვლევები, გამოვლინდა მოსახლეობის წინაშე მდგარი პრობლემები, რომლებზეც „ინტელექტის“ ექსპერტებმა შეიმუშავეს მიზნობრივი პროგრამები და რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს გადაეცათ. პროექტის ფარგლებში აგრეთვე მოეწყო საჯარო განხილვებიც.

თუმცა ეს არ აღმოჩნდა საკმარისი, იმისათვის, რომ მეთოდი პრაქტიკაში დანერგილიყო. როცა ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი დაასრულებს პროექტს „თემთა მობილიზაციის ინიციატივას“ ადგილებზე ვერ დარჩება მეთოდი, რომელიც ხელს შეუწყობს ბიუჯეტების დაგეგმვის დროს მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებას, ანუ ვერ იქნება უზრუნველყოფილი მოსახლეობის სრულფასოვანი თანამონაწილობა თვითმმართველობის და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ამიტომ „ინტელექტმა“ გადაწყვიტა პროექტში ცვლილებები შეეტანა და თემებში რწმუნებულებისათვის გაეცნო საბიუჯეტო კვლევევის მეთოდები, რადგან ადგილებზე, ქვედა რგოლებში, თემების რწმუნებულების სახით დარჩენ ადამიანები, რომლებსაც ექნებათ უნარ-ჩვევები პრობლემების კვლევების მეთოდოლოგიაზე, რომელსაც ისინი სამომავლოდ პრაქტიკულ საქმიანობაში გამოიყენებენ და რაც კარგი მმართველობის პრინციპის (ქვემოდან-მოსახლეობიდან, ზემოთ წამოსული ინიციატივების გათვალისწინება) განხორციელების ერთ-ერთი გარანტი იქნება.

თემებში რწმუნებულებისათვის ტრენინგების ჩატარების ინიციატივის დადებითად შეხვდნენ მუნიციპალიტეტების გამგებლები და საკრებულოს თავმჯდომარეები, აგრეთვე თემების რწმუნებულები. განსაკუთრებული მონონება პრობლემების პრიორიტეტიზაციის მეთოდოლოგიამ დაიმსახურა. ერთ-ერთმა თემის რწმუნებულმა ტრენინგზე აღნიშნა, რომ „სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში როცა ვიწყებდით პრობლემების შერჩევას, თუ რომელი

თემების რწმუნებულებისათვის ტრენინგები ჩატარდა

პრობლემა უნდა მოგვარებულიყო მოსახლეობაში აზრი რამდენიმე ნაწილად გაყო, რამაც უკმაყოფილება გამოიწვია. ეს მეთოდოლოგია რომ ადრე გვცოდნოდა გართულებები თავიდან იქნებოდა აცილებული“.

უჩამბის თემის რწმუნებული, გივი შავაძე ამბობს: „კვლევის მეთოდები უნიკალურია, იოლად გასაგები და ამასთანავე პრაქტიკაში დასანერგად და გამოსაყენებლად მარტივი.“

„მივესალმები „ინტელექტის“ ამ ნაბიჯს, მართლა კარგია, რომ არის პრინციპი, საერთო აზრი როგორ გამოვყოთ.მოსახლეობის მხრიდან რა პრიორიტეტიც გამოიკვეთება, გამგეობა უნდა შეეცადოს ის გააკეთოს. ადრე, ხშირ შემთხვევაში პრიორიტეტები გამგებელთან ან სოფლის რწმუნებულთან შეთანხმებით წყდებოდა, ვერ ტარდებოდა სწორი გამოკითხვა. „ინტელექტის“ მიერ შემოთავაზებული მეთოდი კი ამ მხრივ წაგვადგება. თუ გამოკვეთილ პრობლემას მიმდინარე წლის ბიუჯეტში ვერ გავითვალისწინებთ, მომდევნო წელში შევეცდებით, რადგან ჩვენ ვაკეთებთ 4 წლის სამოქმედო გეგმას. ვთქვათ, თუ თანხები ბევრია პრობლემის გადაჭრა ეტაპობრივად მოხდება, ყველა ლონეს ვიხმართ, რომ დაფინანსდეს“.- აღნიშნა ჩვენთნ საუბარში შუახევის მუნიციპალური გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა სოსლან ზოიძემ

„არის სადავო საკითხები, რომლებზეც მართლა მოგვინევს „ინტელექტის“ მიერ შემოთავაზებული მეთოდოლოგიის გამოყენება. სჯობს ისევ პიროვნებებზე არ იყოს დამოკიდებული გადაწყვეტილების მიღება და ხელისუფლების წარმომადგენლები არ წყვეტდნენ სად რომელი პრობლემა მოგვარდეს. ეს მეთოდი ლიბერალურია და მისაღები, რადგან სახეზეა ფორმა, რომელიც მოსახლეობის ინტერესებს იცავს და ღირს გამოყენება” - ჯემალ დიასამიძე, ურეხის თემის რწმუნებული.

სოფელ აჭყვისთავის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული, ვაჟა მესხიძეც ხაზს პრიორიტეტიზაციის მეთოდის დადებით მხარეებზე უსვამს და ამბობს: „სასარგებლო იქნებოდა ყველა ხელმძღვანელს რომ მოესმინა ეს ტრენინგი, განსაკუთრებით პრიორიტეტის მინიჭების მეთოდის განხილვა მომეწონა, რომლის გამოყენებას მხარს დავუჭერ ყოველთვის, მაშინაც კი როცა თემის რწმუნებული აღარ ვიქნები და ჩემს სოფელში ჩატარებულ კრებებს დავესწრები, რადგან ამ მეთოდში კარგად და ღიად ჩანს იმ პრობლემის აქტუალურობა, რომელსაც თემის მოსახლეობა გამოყოფს.

ტრენინგი აჭარის ხუთივე მუნიციპალიტეტში ჩატარებულია. ხულოში 6 აპრილს, შუახევში 23 აპრილს, ქედაში 30 აპრილს, ხელვაჩაურში 27 აპრილს, ხოლო ქობულეთში 11 მაისს. 12 მაისიდან ინტელექტის ექსპერტების დასწრებით და მონაწილეობით თემებში დაიწყო მოსახლეობის საერთო კრებების ჩატარება, რომელსაც თემების რწმუნებულები ატარებენ.

კვლევის მეთოდოლოგიები

როდესაც ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა გადაწყვიტა რომელი მეთოდოლოგიის გამოყენება შეიძლებოდა საბიუჯეტო კვლევების ჩასატარებლად, განიხილებოდა სამი მეთოდი.

საზოგადოდ ცნობილია კვლევების უამრავი მეთოდოლოგია, მაგრამ მოსახლეობის აზრის გასაგებად ყველაზე ცნობილი და ხშირად გამოყენებადი მეთოდოლოგიებია: (ამ შემთხვევაში აქცენტს გავაკეთებთ მოსახლეობის წინაშე მდგარი პრობლემების კვლევის მეთოდებზე და არა ზოგადად სოციოლოგიურ კვლევებზე) ანკეტირება და ინტერვიუირება.

ანკეტირება, სხვა მეთოდების მსგავსად, მასობრივი გამოკითხვის სახეობა, რომელიც კითხვარის გამოყენებით წარიმართება. ანკეტირების დროს რესპონდენტი თვითონ კითხულობს კითხვარის კითხვებს და თავადვე აღნიშნავს პასუხებს, რომლებიც მის აზრს შეესაბამება, თუმცა ამ მეთოდის უარყოფითი მხარე ის არის, რომ იგი არ არის საჯარო და გამჭვირვალე. მოკლე დროში შეუძლებელია მოსახლეობის სრული რაოდენობის მოცვა, რაც მოსახლეობის წინაშე მდგარი პრობლემების გამოკვეთისათვის არც თუ ისე ხელსაყრელია.

ინტერვიუირება — ინდივიდუალური გასაუბრებაა თითოეულ ადამიანთან (ოჯახში მისვლით, ქუჩაში გასაუბრებით). ამ მეთოდოლოგიის განხორციელებისათვის შეიძლება გამოყენებულ იყოს ინტერნეტ სივრცე და სატელეფონო გამოკითხვა. რაც მოითხოვს დიდ დროს და ადამიანურ რესურსებს, თუმცა ობიექტურობის თვალსაზრისით გაცილებით ობიექტურია ანკეტირებასთან შედარებით.

რაც შეეხება მესამე მეთოდს, არ არის საზოგადოდ ცნობილი. ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ შეეცდება ამ მეთოდოლოგიის დანერგვას, რომელსაც იმედია ადგილობრივი თვითმმართველობები სამომავლოდ, პრაქტიკულ საქმიანობებში გამოიყენებენ.

რაში მდგომარეობს პროგლემების კვლევის მეთოდოლოგია?

მოსახლეობის საერთო კრებებზე პრობლემის გამოკვეთა და პრიორიტეტების განსაზღვრა მოხდება სპეციალური მეთოდის გამოყენებით, რომელსაც ჰქვია „თანამონაწილეობრივი სტრატეგული დაგეგმვა“.

მეთოდის არსი მარტივია მოსახლეობისათვის აღსაქმელად და ამავე დროს უზრუნველყოფს პრობლემების გამოკვეთის და მათი პრიორიტეტულობის განსაზღვრის თვალსაჩინოებას. მისი არსი მდგომარეობს შემდეგში:

რატომ ვერ მოხერხდა თემებში გამოვლენილი პრიორიტეტული პრობლემების ბიუჯეტებში გათვალისწინება

მოსახლეობის წინაშე მდგარი რომელი პრობლემების გათვალისწინება მოხდა ადგილობრივ ბიუჯეტებში და რომელი დაფინანსდება დამატებითი ფინანსური წყაროებიდან



პროექტის „თემთა მობილიზაციის ინიციატივა“ ერთ-ერთ მთავარ მიზანს (სხვა მთავარ მიზნებთან ერთად) წარმოადგენდა და წარმოადგენს თემებში გამოვლენილ მოსაგვარებელ პრობლემებზე შექმნილი მიზნობრივი პროგრამების ლობირება როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ და რეგიონულ მთავრობასთან და მათი გადაჭრის გზების ძიება.

მიზნობრივი პროგრამების ლობირების მიზნით, აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს, უმაღლესი საბჭოს საფინანსო—საბიუჯეტო კომიტეტს და აჭარის ხუთი მუნიციპალიტეტის (ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის, ხულოს) საკრებულოს თავმჯდომარეებს და გამგებლებს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა „ინტელექტი“ იმ მიზნობრივ პროგრამათა კრებულებიც გადასცა, რომელიც პროექტის „თემთა მობილიზაციის ინიციატივა“ ფარგლებში მომზადდა.

„ინტელექტის“ ექსპერტებმა იმისათვის, იქნა თუ არა მოსახლეობის ინტერესები ბიუჯეტების დაგეგმვისა და ფორმირების დროს გათვალისწინებული, საჯარო ინფორმაციის სახით გამოითხოვეს მუნიციპალიტეტების ბიუჯეტები და გააკეთეს მათი ანალიზი (იხ. ჩანართი „თემთა ინიციატივა“ №10-11). როგორც ანალიზმა აჩვენა ვერცერთი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ვერ მოხერხდა კავშირის მიერ გამოვლენილი პრობლემების დაფინანსება.

რატომ ვერ მოხერხდა თემებში გამოვლენილი პრიორიტეტული პრობლემების ბიუჯეტებში გათვალისწინება?

ყველა მუნიციპალიტეტში მიზეზი სხვადასხვაგვარია, თუმცა საერთო მიზეზი მაინც საქართველოში, აგვისტოს თვეში მიმდინარე სამარი მოქმედებებია, რამაც მთლიანად შეცვალა მდგომარეობა. ამ პერიოდში მთავრობის მთელი ყურადღება და ფინანსური სახსრები მიმართული იყო კონფლიქტის ზონისაკენ, რამაც გამოიწვია რეგიონებში ადგილობრივი ბიუჯეტების შემცირება. აჭარის სამ მუნიციპალიტეტს კი (ხულოს, შუახევს და ქედას) არ გააჩნიათ საკუთარი შემოსავლები და მთლიანად დამოკიდებული არიან ტრანსფერებზე.

თუმცა არის ისეთი პრობლემებიც, რომლებიც ნაწილობრივ, მაგრამ უკვე მოგვარდა (მაგ. შიდა გზების რეაბილიტაცია ბევრ თემში უკვე აღარ წარმოადგენს პრობლემას, რადგან 2008 წელში მოხდა მათი რეაბილიტაცია.)

2009 წლიდან ჩამოყალიბდა რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, რომელიც ახორციელებს ,,სოფლის დახმარების პროგრამას“. პროგრამის არსი ემთხვევა „თემთა მობილიზაციის ინიციატივა“ მთავარ მიზნებს. ორივეში მთავარი ამოსავალი წერტილია მოსახლეობის მხრიდან წამოსული პრიორიტეტული პრობლემების მოგვარება. „სოფლის დახმარების პროგრამის“ მიხედვითაც თემების რწმენებულებმა თემებში, მოსახლეობასთან შეთანხმებით უნდა აირჩიონ პრიორიტეტული პრობლემა და წარუდგინონ გამგეობას, რომელიც, თავის მხრივ, აღნიშნულ პრობლემას წარუდგენს რეგიონულ მთავრობას, სადაც მოხდება აღნიშნული პრობლემის მოგვარების დაფინანსება. ითითოეული სოფლის დაფინანსება მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით განისაზღვრება და მისი მიზანი სოფლის პრობლემის მოგვარებაა. (სამინისტროს აქვს სხვა პროექტებიც. მაგალითად: სოფლების ტრაქტორით უზრუნველყოფა, გზების რეაბილიტაცია და სხვა.)

ამ პროგრამის ფარგლებში აჭარის მუნიციპალიტეტებში უკვე დაიწყო სამუშაოების შესრულება. ბევრ თემში გაკეთდა მოსაცდელები, ადმინისტრაციული და სკოლების შენობების სახურავების რეაბილიტაცია. თემებში დაგეგმილია სასმელი წყლისა და სარწყავი არხების რეაბილიტაცია, აგრეთვე საკანალიზაციო სისტემების შეკეთება.

თემებში, პრობლემების შერჩევის დროს გათვალისწინებული იქნა ის პრობლემები, რომლებიც „ინტელექტის“ მიერ იქნა წარდგენილი.

როდესაც ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა პრობლემების კვლევა დაასრულა, აღმოჩნდა, რომ 63 თემიდან უმრავლესობას გზის პრობლემა აწუხებდა. უნდა აღინიშნოს, რომ 2009 წლიდან გზების აღდგენა-შეკეთების საკითხი თვითმმართველობებს აღარ ევალებათ, იგი საგზაო დეპარტამენტს გადაეცა და ამჟამად საგზაო დეპარტამენტი ანარმოებს გზების რეაბილიტაციას. შუახევში, ჭვანას თემში პრობლემას წარმოადგენდა „ბოჯინარის“ ხიდის აგება, რომელსაც აგრეთვე გზების დეპარტამენტი აკეთებს და სამუშაოების შესრულება მე-3 დეკადაშია დაგეგმილი.

დაბა შუახევში მოსახლეობამ სასმელი წყლის პრობლემა გამოყო, შუახევის გამგებლის, ომარ მეგრელიძის თქმით: ,,ცენტრალურ წყალსადენზე გასულ წელს გაკეთდა 7 კილომეტრიანი მონაკვეთი. 2009 წლის ბიუჯეტში კი 33 ათასი ლარია ჩადებული ცენტრალური აუზის შეკეთებისათვის, რაც დაბაში საბოლოოდ მოხსნის სასმელი წყლის პრობლემას.“

შუახევის მუნიციპალიტეტის სამ თემში (უჩამბა, ბარათაული დაშუბანი) მოსახლობა ტრანსპორტით უნდა უზრუნველყოფილიყო, რაც ვერ მოხერხდა. „ავტობუსებით უზრუნველყოფა გასულ წელს აჭარის ცენტრალური ბიუჯეტში იყო გათვალისწინებული, მაგრამ აგვისტოს მოვლენებმა შეაფერხა პროცესი. მაისში, ბიუჯეტის კორექტირებისას შესაძლოა მოხდეს პრობლემის გათვალისწინება“

ქედის მუნიციპალიტეტში, მახუნცეთის თემში მოსახლეობა ბაგა-ბაღის აშენებას ითხოვდა, მართალია პროგრამის დაფინანსება ვერ მოხერხდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან, მაგრამ აჭარის განათლების, კულტურასა და სპორტის სამინისტრო ქედაში ოთხ საბავშვო ბაღს აშენებს, მათ შორის მახუნცეთის თემშიც.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში გერმანიის რეკონსტრუქციის საერთაშორისო ბანკმა (KFW) 10 მილიონი ლარი გამოყო სარფი-გონიო-კვარათი-ახალსოფლის წყალგაყვანილობისა და საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციისათვის, არადა დაბა ხელვაჩაურში მოსახლეობას კანალიზაციის გაუმართაობის პრობლემა დიდი ხანია აწუხებს, თუმცა ვერც ადგილობრივ ბიუჯეტით და ვერც დამატებითი ფინანსურ სახსრებით ვერ მოხერხდა რეაბილიტაცია.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის თემების უმრავლესობას შიდა გზების პრობლემა აწუხებდა რაც ნაწილობრივ მოგვარებულია.

რაც შეეხება მოსახლეობის ტრაქტორებით უზრუნველყოფას, პროგრამა ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდება, პროგრამის ნაწილი განხორციელდა. (ბარათაულის თემის მოსახლეობამ უკვე მიიღო DT ტიპის ტრაქტორი, ხოლო ქვანას, უჩამბას, დღვანის და ა.შ. თემებში „ბელარუსი“ ტრაქტორები), ხოლო ნაწილის განხორციელება სამომავლოდაა იგიგეგმება.

ერთი ნაბიჯი წინ, ანუ რას მოგვიტანს საბიუჯეტო კვლევების სისტემის დანერგვა მუნიცი პალიტეტებში

— პირველ ეტაპზე, კრების დამსწრეთა მიერ (მონაწილეობას იღებს ყველა ადამიანი) სახელდება პრობლემები (დაიწერება სტიკერებზე), რომლებიც მათი აზრით, აქტუალურია თემისათვის და მოითხოვს სასწრაფო გადაწყვეტას. თითო მონაწილის მიერ შეიძლება დასახელებულ იქნეს რამოდენიმე პრობლემა;

– მეორე ეტაპზე ფასილიტატორის მიერ განხორციელდება სტიკერების დაჯგუფება შინაარსის მიხედვით;

– მესამე ეტაპზე განხორციელდება ცხრილში გადატანილი პრობლემების ერთმანეთზე შედარება (მაგ: პირველი და ყველა დანარჩენის, შემდეგ მეორე და ყველა დანაჩენის , მესამე და ყველა დანარჩენის და ა. შ.) ორი პრობლემის შედარების შედეგად არჩეული პრობლემა იღებს 1 ქულას, მეორე 0 ქულას. შედარების დროს გამოიყენება ღია კენჭისყრის მეთოდი, რომლის დროსაც კრებაზე დამსწრე მოსახლეობა უპირატესობას აძლევს ორი პრობლემიდან ერთ—ერთს.

საბოლოოდ, ყველა პრობლემის ერთმანეთთან შედარების შემდეგ, ყოველი მათგანი დააგროვებს ქულების განსაზღვრულ რაოდენობას. პრობლემა, რომელიც დააგროვებს ყველაზე მეტ ქულას განისაზღვრება როგორც ყველაზე პრიორიტეტული.

იმ შემთხვევაში, თუ კვლევა ტარდება მუნიციპალიტეტის მიერ, შესაძლებელია ცხრილში არ იქნეს გადატანილი ის პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაც არ მიეკუთვნება ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციას. (მაგ: პენსიების გაზრდა, უსაქმურობის დაძლევა და ა.შ)

მაგალითი

№	გამოკვეთილი პრობლემები	ქულა						სულ ქულა	პრიორიტეტი
1	**სპორტული მოედნის მოწყობა**		1	0	0	0	1	2	IV
2	**ცუდი სასოფლო გზა**	0		0	0	0	1	1	V
3	**სასმელი წყლის რეაბილიტაცია**	1	1		1	1	1	5	I
4	**კულტურის სახლის რეაბილიტაცია**	1	1	0		0	1	3	III
5	**სარწყავი არხის უქონლობა**	1	1	0	1		1	4	II
6	**თემში ავტობუსის დანიშვნა**	0	0	0	0	0		0	VI

მოცემულ მაგალითში პრიორიტეტულია სასმელი წყლის პრობლემა, მე-2 ადგილზეა სარწყავი არხის პრობლემა და ა.შ.

საგაზეთო ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“

საგაზეთო ჩანართის რედაქტორი: გურანდა შაინიძე

საგაზეთო ჩანართი „თემთა ინიციატივა“
მისამართი: ბათუმი, რუსთაველის გამზ. №25
ტელ.: 77415, ფაქსი: 77126
ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge
ვებგვერდი: www.intellect.org.ge